

საგადახდო დავალება
Payment Order

1 GEL
თარიღი / Date: 11/03/2013

ს.ს. "თიბისი ბანკის" ვაჭა ფშაველას
გამზირი ს/ც #2
რეფერენსი / Ref. Num.

გადამხდელი / Sender

შპს 'კავკასუს ონლაინი' - 211380833

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE21TB1189136020100008

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank ბანკის კოდი / Bank Code

ქ.თბილისი, სს თიბისი ბანკის სათაო ბანკი TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს 'კავკასუს ონლაინი'

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 211380833

მიმღები / Receiver

სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. / Treasury Code GE52BR0000010591718543

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury ბანკის კოდი / Bank Code

სს "ბანკი რესპუბლიკა" REPLGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

უნიკალური ნომერი #691 / საქ.პარლამენტის აპარატის კომპიუტერული ქსელის შექმნის
საპროექტო მომსახურების სახ. შესყიდვა/

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

საქართველოს პარლამენტის აპარატი ს/კ202058245

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.

932625430

თანხა / Amount

50 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ორმოცდაათი ლარი 00 თეთრი

შესრულების თარიღი / Operation Date

11/03/2013

ბანკში შემოსვლის თარიღი / Received

11/03/2013

ხელმოწერა
Signature

054009

3/11/2013 2:59:22 PM

932625430

სტია ფარესაშვილი



კავკასუს ონლაინი

ვაჟა ფშაველას 71, თბილისი, 0186, ტელ : +995 32 2200000, ფაქსი: +995 32 2480048 info@co.ge, www.co.ge

საკონკურსო წინადადება

შესყიდვის ობიექტია ქალაქ თბილისში, რუსთაველის გამზ. №8-ში მდებარე საქართველოს პარლამენტის სასახლეში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად კომპიუტერული ქსელის სრული და დეტალური საპროექტი მომსახურება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დანართის სახით გიგზავნით საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტაციას:

- დანართი #1: გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი
- დანართი #2: აქტიური ქსელის მოწყობის დოკუმენტაცია (26 ფურცლად)
- დანართი #3: პასიური ქსელის მოწყობის დოკუმენტაცია (32 ფურცლად)
- დანართი #4: რეკვიზიტები
- დანართი #5: მინდობილობის ასლი

დამატებით გთავაზობთ IP სატელეფონო მოწყობის პროექტს (ოფციონალური შემოთავაზება) აღნიშნული პროექტი თანდართულია დანართ #6-ს სახით (7 ფურცლად)

საპროექტო მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს: 1500 ლარი.

შპს „კავკასუს ონლაინ“-ს
გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

გენადი როსტომაული



კავკასუს ონლაინი
შპს კავკასუს ონლაინი
211380833



კავკასუს ონლაინი

ვაჟა ფშაველას 71, თბილისი, 0186, ტელ :+995 32 2200000, ფაქსი: +995 32 2480048 info@co.ge, www.co.ge

ინფორმაცია კავკასუს ონლაინის შესახებ

კავკასუს ონლაინი გახლავთ წამყვანი ინტერნეტ პროვაიდერი საქართველოში, რომელშიც გაერთიანებულია ოთხი მსხვილი ინტერნეტ პროვაიდერის სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიები და არის დაკომპლექტებული წარმატებული, მრავალწლიანი გამოცდილების მქონე სპეციალისტებითა და ძლიერი მმართველობითი გუნდით. 24 საათიან რეჟიმში ჩვენს მომხმარებელს ემსახურება ტექნიკური განყოფილების პერსონალი, რომელიც მზად არის დაგეხმაროთ ნებისმიერი სახის ტექნიკური პრობლემის დროულად მოგვარებაში.

აგრეთვე მინდა მოგახსენოთ, რომ სრული დატვირთვით ამუშავდა მაგისტრალური კაბელი "ვარნა-ფოთი-თბილისი", 1200-კილომეტრიანი, უნიკალური მახასიათებლების მქონე ოპტიკურ-ბოჭკოვანი, მაგისტრალის კაბელი, რომლის გამტარუნარიანობა 1,3 ტერაბიტია. ეს არის 100-ჯერ მეტი, რასაც დღეს საქართველო მოიხმარს. ამ კაბელის საშუალებით კავკასუს ონლაინის მომხმარებლებს საგრძნობლად მოემატაა ინტერნეტ რესურსებთან წვდომის სიჩქარე.

ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების გაწევის შესახებ

შპს „კავკასუს ონლაინს“ ანალოგიურ მომსახურება (კომპიუტერული ქსელის შექმნა) განხორციელებული აქვს ისეთ ორგანიზაციებთან როგორცაა: რაკინი (თბილისი მოლი), ბიზნეს ცენტრი ვაჟა (რედიქსი), შპს „კრაფტ ფულდ საქართველო“ და სხვა მრავალი. აღნიშნულ ორგანიზაციებში კავკასუს ონლაინმა განახორციელა შიდა ქსელის სრული დაგეგმარება და შესრულება. აღნიშნულიდან გამდინარე გვინდა წარმოგიდგინოთ ჩვენი საკონკურსო წინადადება.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენთან თანამშრომლობა წარმატებული იქნება.

პატივისცემით,

შპს „კავკასუს ონლაინ“-ს
გენერალური დირექტორის მინდობილი პირი

გენადი როსტომაული



კავკასუს ონლაინი
შპს კავკასუს ონლაინი
211380833



კავკასუს ონლაინი

ვაჟა ფშაველას 71, თბილისი, 0186, ტელ : +995 32 2200000, ფაქსი: +995 32 2480048 info@co.ge, www.co.ge

დანართი #4

რეკვიზიტები:

შპს „კავკასუს ონლაინი“

საფოსტო მისამართი: საქართველო, 0186 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71

გენერალური დირექტორი ბ-ნი ლევან ხუნდაძე

გენერალური დირექტორის მინდობილი პირი ბ-ნი გენადი როსტომაული

ელ-ფოსტა: info@co.ge; g.kvikvinia@co.ge

ტელეფონი: (995 32) 220 00 00

ფაქსი: (995 32) 220 00 01

საიდენტიფიკაციო ნომერი: 211380833

ბანკი : სს თიბისი ბანკი

ა/ა: GE21TB1189136020100008

ბანკის კოდი: 220101850

საკონტაქტო ინფორმაცია:

გიორგი კვიციანი

კორპორატიული გაყიდვების მენეჯერი

ტელეფონი: (995 32) 2200221

მობილური: (995 577) 208031

ელ-ფოსტა: g.kvikvinia@co.ge



კავკასუს ონლაინი

შპს კავკასუს ონლაინი
211380833

საქართველოს პარლამენტი

საკონკურსო წინადადება

აქტიური ქსელის მოწყობა

მიმოხილვა


პროექტი მიზნად ისახავს, მოხდეს საქართველოს პარლამენტის ქსელური ინფრასტრუქტურის მოწყობა, რათა იგი სრულად აკმაყოფილებდეს არსებულ მოთხოვნებს და მომავალში შესაძლებელი იყოს მისი მასშტაბირება.

საკონკურსო წინადადება მოიცავს შემდეგ ძირითად ბლოკებს:

- დაშვების ქსელი
- უსადენო დაშვების ქსელი
- შიდა სერვერების ბლოკი
- ინტერნეტთან წვდომის ბლოკი
- აგრეგაციის ბლოკი



კავკასუსი კომუნიკაციები
საქართველოს კომუნიკაციების
211280833



სურათი N1 ზოგადი ტოპოლოგია




ქვეყანის უსაფრთხოების
სამსახურის ცენტრი
211380833

დაშვების ქსელი

დაშვების ქსელი წარმოადგენს მომხმარებლების კომპიუტერებისა და სხვადასხვა ქსელური მოწყობილობების ფიზიკურად მიერთების წერტილს. მოცემული სეგმენტი გამართული იქნება მეორე დონის კომპუტატორების საშუალებით. მომხმარებლების კავშირი დაშვების ქსელთან განხორციელდება 1 Gbps გამტარობით, რათა ქსელში შესაძლებელი იყოს თანამედროვე მულტიმედიური და დიდი წარმადობის მქონე აპლიკაციების დანერგვა, როგორცაა ვიდეო კონფერენცია, IP ტელევიზია და სხვა.

კომპუტატორები მოთავსებული იქნება დაშვების ქსელის სპეციალურ კარადებში. კონფიგურაციის გასამარტივებლად მოხდება კომპუტატორების სტეკირება. თითოეულ სტეკში იქნება არაუმეტეს ოთხი კომპუტატორისა. ყველა სტეკი ორი 10 Gbps არხის საშუალებით დაუკავშირდება ქსელის აგრეგაციის ბლოკს. ეს სქემა უზრუნველყოფს ოთხი კომპუტატორისთვის 20 Gbps შეერთების სიჩქარეს ქსელის დანარჩენ ნაწილებთან. მიღებული შეერთების სიჩქარე საკმარისია თანამედროვე ქსელური აპლიკაციებისთვის და ასევე წარმოადგენს გრძელვადიან დანაზოგს. ეკონომიის შესაძლებლობას იძლევა სამომავლო გაძლიერების საჭიროების მინიმუმამდე დაყვანა.

აღნიშნული სქემით შეერთებისას ასევე მცირდება როგორც ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხების რაოდენობა ასევე სხვადასხვა ოპტიკური ტრანსივერებისთვის გაწეული ხარჯები.



სურათი N2 დაშვების ქსელის შეერთების ფიზიკური სქემა

სტეკირების ტექნოლოგია საშუალებას იძლევა, რამოდენიმე ფიზიკური კომპუტატორი გაერთიანდეს ერთ ლოგიკურ კომპუტატორში. ეს ამარტივებს კომპუტატორების მართვას და ასევე ზრდის მათ შორის გამტარობას. სტეკირებული კომპუტატორების მისაერთებლად აგრეგაციის ბლოკზე გამოყენებული იქნება Etherchannel ტექნოლოგია. ეს მოგვცემს საშუალებას რამოდენიმე ფიზიკური არხი ერთ ლოგიკურ არხში გაერთიანდეს.

აღნიშნული სქემით მიღებული ქსელის ლოგიკური ტოპოლოგია, არ შეიცავს მეორე დონის მარყუქებს, რაც გამორიცხავს broadcast storm ტიპის მასშტაბურ ავარიებს.



სურათი N3 დაშვების ქსელის შერთვის ლოგიკური სქემა

კომპუტატორებზე გაიმართება ისეთი უსაფრთხოების მექანიზმები, როგორიცაა: DHCP Snooping, ARP Inspection, Port Security. ეს მექანიზმები ებრძვიან მე-2 დონის შეტევებს ქსელზე, როგორცაა Spoofing, Man In the Middle Attack, Arp Poisoning და სხვა.


აღნიშნული კომპუტატორების საშუალებით მოხდება დენის მიწოდება IP ტელეფონებისთვის და უსადენო ქსელის დაშვების წერტილებისთვის. ახალი თაობის მოწყობილობებისთვის დენის მისაწოდებლად კომპუტატორებს ექნება IEEE 802.3at ტექნოლოგიის მხარდაჭერა. ელექტრო ენერჯის ეფექტურად და ეკონომიურად მიწოდებისა და მოხმარებისთვის კომპუტატორებს გააჩნიათ EnergyWise ტექნოლოგია, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს ელექტრო ენერჯიასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

IP ტელეფონების მისაერთებლად კომპუტატორებთან გამოყენებული იქნება CDP პროტოკოლი, რომლის საშუალებითაც კომპუტატორებზე გაიმართება იზოლირებული Voice VLAN-ი. დაყვნებისადმი განსაკუთრებულად მგრძობიარე, მაგალითად ხმოვანი და ვიდეო ტრაფიკისათვის გამოყენებული იქნება QoS (Quality of Service) ტექნოლოგია, რომელიც მაღალ პრიორიტეტს მიანიჭებს ამ ტიპის მონაცემებს.

იმისათვის რომ ოპტიმალურად მოხდეს Multicast ტრაფიკის გადაცემა (მაგალითად IP ტელევიზია) შეიქმნება ცალკე VLAN-ების კატეგორია, რომელშიც გამოყენებული იქნება Multicast VLAN Registration (MVR) და IGMP Snooping ტექნოლოგიები.

დაშვების ქსელის მოსაწყობად საჭირო იქნება არანაკლებ 53 კომპუტატორისა, თითოეული 48 ცალი 1 Gbps გამტარობის ინტერფეისით და ორი 10 Gbps გამტარობის მაგისტრალური ინტერფეისით.

დაშვების ქსელისთვის გამოყენებული იქნება Cisco Catalyst 2960S-48FPD-L სერიის კომპუტატორები. ხოლო მათი სტეკირებისთვის - C2960S-STACK= მოდული.



სურათი N4 Cisco Catalyst 2960S-48FPD-L სერიის კომპუტატორი



სურათი N5 C2960S-STACK= სტეკირების მოდული

კავკასუს ონლაინი
სსს კავკასუს ონლაინი
211380833

უსადენო დაშვების ქსელი

უსადენო დაშვების ქსელი წარმოადგენს კომპიუტერულ ქსელს რომელშიც ინფორმაცია რადიო ტალღების საშუალებით გადაიცემა. აღნიშნული ინფრასრუქტურა გამოყენებული იქნება ლეპტოპების და მობილური მოწყობილობების მომსახურებისათვის. მომხმარებლები შეძლებენ ქსელში ნებისმიერი ადგილიდან ნებისმიერ დროს შესაბამისი სერვისით სარგებლობას.



სურათი N6 უსადენო ქსელის მომხმარებელი მოწყობილობები

მოცემული პროექტი ითვალისწინებს უსადენო ქსელის მოწყობას პარლამენტის A, B და C კორპუსებში და ასევე შიდა ეზოში.

უსადენო ქსელი დაფუძნებულია IEEE 802.11n სტანდარტის 2.4 GHz სიხშირულ ვარიანტზე. შემოთავაზებულ მოწყობილობებს ასევე ექნებათ 5GHz სიხშირის მხარაჭერა.

დიდი რაოდენობის მოწყობილობების საიმედო და ეფექტური მუშაობისთვის გამოყენებული იქნება Cisco Aironet 1602I სერიის დაშვების წერტილები, რომელთაც გააჩნიათ სიხშირეებით გადატვირთულ გარემოში ეფექტურად მუშაობისთვის საჭირო მექანიზმები. კერძოდ კი 3x3 MIMO (Multiple-Input and Multiple-Output) ანტენათა კონფიგურაცია, CleanAir Express ტექნოლოგია რადიო არხებზე არსებული ინტერფერენციის ანალიზისთვის და ClientLink 2.0 ტექნოლოგია ინფორმაციის გაცვლის ხარისხის ასამაღლებლად. ამ ტექნოლოგიათა ერთობლიობა უზრუნველყოფს უკეთეს სიჩქარესა და დატვირთვის ოპტიმალურობას მოწყობილობათა კვების ელემენტებზე.

უსადენო ქსელის მოსაწყობად საერთო ჯამში საჭირო იქნება 137 უსადენო წვდომის წერტილი.




სურათი N7. Cisco Aironet 1602I სერიის უსადენო დაშვების წერტილი

რადიო ქსელების დაცვის სირთულის გათვალისწინებით, ქსელში დაინერგება CISCO ISE (Identity Services Engine) ცენტრალიზებული აუტენტიფიკაციისა და უსაფრთხოების პოლიტიკების მართვის სერვერი. ამ კომპონენტის საშუალებით შესაძლებელი გახდება ძლიერი აუტენტიფიკაციის ტექნოლოგიების დანერგვა, როგორცაა IEEE 802.1x. აღნიშნული პროტოკოლის გამოყენებით შესაძლებელია აუტენტიფიკაცია სერთიფიკატების მეშვეობით.

CISCO ISE შეგვიქმნის საშუალებას როგორც მომხმარებლების პირადი, ასევე სამსახურეობრივი მობილური მოწყობილობების იდენტიფიკაციისა და შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკების გამართვისა აღნიშნული მოწყობილობების წარმომავლობიდან გამომდინარე (BYOD კონცეპცია).



კავკასუს ონლაინ
შპს კავკასუს ონლაინ
211380833



სურათი N8 Cisco ISE გრაფიკული ინტერფეისი

ქსელში გამართული იქნება WLC 5508 სერიის უსადენო ქსელის კონტროლერი. ამ სისტემის საშუალებით განხორციელდება უსადენო ქსელის ცენტრალიზებული მართვა და რადიო რესურსების ავტომატური ოპტიმალური განაწილება.




სურათი N9 Cisco 5508 Wireless Controller სერიის უსადენო ქსელის კონტროლერი

მოთხოვნის შესაბამისად საჭირო არის 137 უსადენო წვდომის წერტილი. მოცემულ კონტროლერს აქვს შესაძლებლობა ერთდროულად 500 დამკვეთის წერტილის და 7000 მომხმარებლის მომსახურებისა. ქსელში მომხმარებლის ჩასართველად გამოყენებული იქნება შემდეგი სტანდარტები 802.11n და 802.11 a/g.

კონტროლერს შეუძლია ამოიცნოს ქსელში არსებული არასანქცირებული დაშვების წერტილები და აღკვეთოს წვდომა მათთვის.

ქსელში დანერგილი იქნება ორი კონტროლერი, რომლებიც მოახდენენ ერთმანეთის დარეზერვებას.

კავშირი კონტროლერსა და უსადენო დაშვების წერტილებს შორის ხორციელდება CAPWAP პროტოკოლით, რომელიც იძლევა გადაცემული მონაცემების შიფრაციის საშუალებას. ეს ნიშნავს რომ მოშორებული დაშვების წერტილების დამატების შემთხვევაშიც კი უსადენო მომხმარებლების მონაცემები დაცული იქნება გადაცემისას. ერთ-ერთი დაშვების წერტილის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში კონტროლერს შესაძლებლობა აქვს მწყობრიდან გამოსული დაშვების წერტილის მეზობელ დაშვების წერტილებზე სიმძლავრის გაზრდით ადადგინოს დაფარვა დაზიანებულ ზონაში.



სურათი N10 უსადენო ქსელის ლოგიკური სქემა




კავკასუსიონი
საქართველოს ელემენტარული
2017

შიდა სერვერების ბლოკი


შიდა სერვერების ბლოკი წარმოადგენს სერვერული ინფრასტრუქტურის მიერთების გარემოს. ამ ბლოკში ხდება დიდი რაოდენობის ინფორმაციის დამუშავება და შენახვა.

აღნიშნული სეგმენტი შედგება უკვე არსებული სერვერული ინფრასტრუქტურისგან, რომლის ფიზიკური მიერთებაც განხორციელდება აგრეგაციის ბლოკზე. შეერთება მოხდება ოთხი 10 Gbps გამტარობის არხის საშუალებით. სერვერული ბლოკის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იქნება ბრანდმაუერების წყვილით (ASA5525-X). ბრანდმაუერების მიერთება უნდა განხორციელდეს აგრეგაციის ბლოკის ორივე კომპუტატორზე ჭარბი არხებით. შემართებული არხები იქნებიან ლოგიკურად გაერთიანებული. ბრანდმაუერებზე შეიქმნება შესაბამისი უსაფრთხოების ზონები, რათა მოხდეს სერვერული ინფრასტრუქტურის ლოგიკური სეგმენტირება. თითოეული სეგმენტისთვის განხორციელდება ინდივიდუალური უსაფრთხოების პოლიტიკები. სერვერულ ბრანდმაუერებსა და აგრეგაციის ბლოკს შორის გაიმართება სტატიკური მარშუტიზაცია. აღნიშნულ ბრანდმაუერებს ექნებათ IPv6 პროტოკოლის მხარდაჭერა რათა მომავალში შესაძლებელი იყოს ახალი თაობის IP პროტოკოლის დანერგვა.



სურათი N11 სერვერული სეგმენტის ფიზიკური მიერთების სქემა

ბრანდმაუერების გამართვა განხორციელდება Stateful Failover ტექნოლოგიით, რაც გულისხმობს ორი ფიზიკური ბრანდმაუერის გაერთიანებას ერთ ლოგიკურ ბრანდმაუერში. ეს ტექნოლოგია საშუალებას გვაძლევს გავამარტივოთ ბრანდმაუერების კონფიგურაცია და ექსპლუატაცია. აღნიშნულ რეჟიმში, პირველი ბრანდმაუერი იმუშავებს როგორც ძირითადი აქტიური მოწყობილობა, ხოლო მეორე როგორც სათადარიგო. მონაცემთა ნაკადი მხოლოდ აქტიურ მოწყობილობაში გაივლის.



სურათი N12 სერვერული სეგმენტის ლოგიკური მიერთების სქემა


იმ შემთხვევაში თუ ძირითადი ბრანდმაუერი გამოვა მწყობრიდან, სათადარიგო ბრანდმაუერი გახდება აქტიური. აღსანიშნავია ის, რომ სათადარიგო ბრანდმაუერს მუდმივად გააჩნდება ინფორმაცია არსებული ნაკადების შესახებ და ძირითადი ბრანდმაუერის

მწყობრიდან გამოსვლა და სათადარიგოზე გადართვა მომხმარებლებისთვის შეუმჩნეველი იქნება.



სურათი N13 Cisco ASA5525-X სერიის ბრანდმაუერი

აღნიშნულ სეგმენტში ასევე დაინერგება ორი Cisco 3560X სერიის კომპუტატორი, რომელზეც მიერთდება სხვადასხვა ცალკე მდგომი სერვერები.




სურათი N14 WS-3560X-24T-S სერიის კომპუტატორი



კავკასუსი კორპორეიტი
სსიპ კავკასუსი კორპორეიტი
2773666666

ინტერნეტთან წვდომის ბლოკი


ინტერნეტთან წვდომის ბლოკი არის ქსელის ინფრასტრუქტურის ნაწილი, რომელიც იყოფა შემდეგ სეგმენტებად: პროვაიდერებთან მიერთება, მოშორებული უსაფრთხო წვდომა (SSL VPN), კორპორატიული სერვისები და დემილიტარიზაციის ზონა.



სურათი N15 ინტერნეტ წვდომის ბლოკის ლოგიკური სქემა

პროვაიდერებთან მიერთების სეგმენტში ფიზიკური შეერთებისთვის გამოყენებული იქნება 2 კომპუტატორი. აღნიშნულ მოწყობილობებს პროვაიდერთან მიერთებისთვის უნდა გააჩნდეთ ოპტიკური ინტერფეისები. მიზანშეწონილია ME-3400EG-12CS სერიის კომპუტატორების გამოყენება, რომელთაც გააჩნიათ ჭარბი რაოდენობის SFP ინტერფეისები. ამ მოწყობილობებზე უნდა მიერთდეს როგორც მარშრუტიზატორები, ასევე ბრანდმაუერები და ინტერნეტ პროვაიდერის ფიზიკური ხაზები. აღნიშნული გადაწყვეტა გულისხმობს, რომ ინტერნეტთან წვდომის ბლოკში ადვილად მოხდება ნებისმიერი ახალი ელემენტების დამატება, მათ შორის პროვაიდერებისაც. საიმედო შეერთების მისაღწევად ნაწილი სერვის პროვაიდერებისა შეერთებული იქნება პირველ კომპუტატორზე, ხოლო ნაწილი მეორე კომპუტატორზე.

საქართველოს რეპუბლიკის
საგარეო ურთიერთობების
სამსახური
271360833



სურათი N16 ME-3400EG-12CS-M სერიის კომპუტატორი

პროვაიდერებთან მიერთების სეგმენტში გამოყენებული იქნება ორი სასაზღვრო მარშრუტიზატორი პროვაიდერებთან მესამე დონის მიერთებისთვის. აღნიშნული მოწყობილობები წარმოადგენენ ინტერნეტთან წვდომის პირველ წერტილს, ამიტომაც სასურველია აქვე იყოს აღკვეთილი ყოველი შესაძლო შეტევა არსებულ კომპონენტზე (CoPP). კომპონენტის გამაგრება, მნიშვნელოვნად გაზრდის ინფრასტრუქტურის უსაფრთხოების მთლიან მაჩვენებელს. 2 სასაზღვრო მარშრუტიზატორი იმუშავებს ერთმანეთის დაზღვევის რეჟიმში. ინტერნეტ ტრაფიკის დისტრიბუცია სერვის პროვაიდერებს შორის მოხდება ე.წ. „load-balanced“ (ორივე არხი აქტიურია) ან „hot-standby“ (მეორე არხი სარეზერვოა) სქემის მიხედვით. მომავალში ამ სეგმენტში შესაძლებელია დაინერგოს BGP პროტოკოლი, რათა უზრუნველყოს ტრაფიკის დისტრიბუციის უფრო მოქნილი სქემა. მოთხოვნებიდან გამომდინარე შერჩეულია Cisco 3945E მარშრუტიზატორები.



სურათი N17 Cisco3945E სერიის მარშრუტიზატორი

მომორებული დაშიფრული წვდომა (SSL VPN), კორპორატიული სერვისების და დემილიტარიზაციის ზონის მომსახურება განხორციელდება 2 ბრანდმაუერის მიერ. ბრანდმაუერებზე მოხდება ქსელის პერიმეტრის დაცვის გამართვა. ასევე მათზე გაიმართება დემილიტარიზაციის ზონა, რომელშიც მოთავსდება საჯარო მოხმარების სერვისები.

აღნიშნულ მოწყობილობებში ინტეგრირებული იქნება IPS სისტემა, რომელიც საშუალებას მოგვცემს სიდრმისეულად შევისწავლოთ და გავაანალიზოთ ჩვენთვის საინტერესო ტრაფიკი, და გავფილტროთ არასასურველი მონაცემები.

ინტერნეტ ბრანდმაუერებზე მოხდება როგორც მოშორებული წვდომის VPN შეერთების გამართვა ასევე Site to Site ტიპის VPN შეერთებები პარტნიორ ორგანიზაციებთან.

მოშორებული წვდომის VPN შეერთებები გაიმართება AnyConnect SSL ტექნოლოგიის საშუალებით. VPN-ით სარგებლობა შესაძლებელი იქნება როგორც პერსონალური კომპიუტერებიდან ასევე მობილური მოწყობილობებიდან. ცენტრალიზებული აუტენტიფიკაციისათვის და უსაფრთხოების პოლიტიკების მისანიჭებლად, ბრანდმაუერები დაუკავშირდება Cisco ISE სერვერს, საიდანაც მოხდება VPN მომხმარებლების იდენტიფიცირება და შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკების განსაზღვრა.

2 ბრანდმაუერი იმუშავებს ეგრეთწოდებულ Active/Standby რეჟიმში და ისინი მოახდენენ ერთმანეთის დაზღვევას. აღნიშნული დიზანი საკმაოდ ზრდის ინფრასტრუქტურის მდგრადობის მაჩვენებელს.


მოთხოვნებზე დაყრდნობით შერჩეულია Cisco ASA5525-X სერიის ბრანდმაუერი.



სურათი N18 Cisco ASA5525-X სერიის ბრანდმაუერი

ინტერნეტ წვდომის ბლოკში გამართულ მოწყობილობებს ექნებათ IPv6 პროტოკოლის მხარდაჭერა რათა მომავალში შესაძლებელი იყოს ახალი თაობის IP პროტოკოლის დანერგვა.

დემილიტარიზაციის ზონის გასამართად ინტერნეტ წვდომის ბლოკში გაიმართება ორი Cisco Catalyst 3560X სერიის კომუტატორი. ეს კომუტატორები პირდაპირ დაუკავშირდება სერვერულ ინფრასტრუქტურას, რომელზეც განთავსებული იქნება სხვადასხვა ტიპის საჯარო სერვისები.



სურათი N19 WS-C3560X-24T-L სერიის დემილიტიზირებული ზონის კომუტატორი

საქართველოს რესპუბლიკის
საგარეო ურთიერთობების
მინისტროს
სამართლებრივი დეპარტამენტი


აგრეგაციის ბლოკი

აგრეგაციის ბლოკი წარმოადგენს ინფრასტრუქტურის ცენტრალურ ნაწილს, სადაც მიერთებული იქნება ქსელის თითოეული სეგმენტი. მისი მთავარი ფუნქციაა მოახერხოს მაქსიმალურად სწრაფად და ოპტიმალურად პაკეტების გადაცემა სხვადასხვა მოდულისთვის. აღნიშნული სეგმენტი გამართული იქნება მე-3 დონის კომპუტატორებით და მასთან მიერთება განხორციელდება 1/10Gbps არხებით. აგრეგაციის ბლოკში შევა 2 მაღალი წარმადობის მქონე კომპუტატორი, რომლებიც მოთავსდებიან ცენტრალური სასერვეროს სხვადასხვა საკომუნიკაციო კარადაში. ქსელის ყოველი სეგმენტის მიერთება აგრეგაციის ბლოკზე განხორციელდება მინიმუმ ორი არხით, რომლებიც მიერთდებიან ამავე სეგმენტში არსებულ ორივე კომპუტატორზე. თოთეულ კომპუტატორს ექნება 40 ცალი 10 Gbps გამტარობის ინტერფეისი.

კომპუტატორებზე კონფიგურირებული იქნება შიდა მარშრუტიზაციის პროტოკოლები, მარშრუტიზაციის უსაფრთხოება, მარშრუტების სუმირება და ვირტუალური მარშრუტიზაციის ცხრილები.

აგრეთვე კონფიგურირებული იქნება Multicast მარშრუტიზაციის პროტოკოლები, რომლებიც მოემსახურება როგორც შიდა მულტიკასტ სერვისებს (შიდა მაუწყებლობა, ვიდეო კონფერენცია, აუდიო კონფერენცია) ასევე პროვაიდერის მიერ მოწოდებულ IP ტელევიზიას. პროტოკოლები შეიცავს PIM-SSM (Protocol Independent Multicast Source Specific Multicast), IGMP Proxy.


VSS აგრეგაციის ბლოკი



სურათი N20 აგრეგაციის ბლოკი

აღნიშნული კომპუტატორები შექმნიან ერთ ლოგიკურ კომპუტატორს VSS (Virtual Switching System) ტექნოლოგიის მეშვეობით. გახდება შესაძლებელი არსებული რესურსების მთლიანად და ოპტიმალურად გამოყენება, გამარტივებული ქსელის არქიტექტურა და მოქნილი დიზანი. SSO (Statefull switchover) და NSF (non-stop forwarding) პროტოკოლების გამოყენებით ნებისმიერი ელემენტის მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში ქსელი დაუბრკოლებლად განაგრძობს მუშაობას.

აგრეგაციის ბლოკში გათვალისწინებულია Cisco Catalyst WS-C4500X-40X-ES სერიის კომპუტატორები



სურათი N21 Cisco Catalyst WS-C4500C-40X-ES სერიის კომპუტატორი

კავკასუსი
დასავლეთი ქვეყნების
2013

ქსელის მართვის სისტემა

ქსელში გაიმართება ცენტრალიზირებული ქსელის მართვისა და მონიტორინგის სისტემა Cisco Prime Infrastructure. ეს სისტემა განკუთვნილია როგორც უსადენო ასევე სადენიანი ქსელის სამართავად. აღნიშნული სისტემის საშუალებით განხორციელდება ქსელური კომპონენტების მონიტორინგი, წარმადობის შეფასება და სხვადასხვა ტიპის შეტყობინებების შეგროვება. აღნიშნული სისტემა ასევე გაამარტივებს ქსელის მართვას, რადგან ერთი წერტილიდან გრაფიკული ინტერფეისის საშუალებით შესაძლებელი იქნება ქსელური მოწყობილობების მართვა.

ამ სისტემას ასევე აქვს საშუალება შეაგროვოს სტატისტიკა ქსელური ტრაფიკის შესახებ NetFlow და NBARv2 ტექნოლოგიის გამოყენებით. NetFlow ტექნოლოგია გამოიყენება სხვადასხვა აპლიკაციების ტრაფიკის სტატისტიკის შესაგროვებლად. ხოლო NBARv2 ტექნოლოგია ქსელური ტრაფიკის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა აპლიკაციების დონეზე. აგრეთვე ეს ტექნოლოგია გამოიყენება სხვადასხვა არასასურველი ქსელური ტრაფიკის აღმოსაჩენად.

გარდა იმისა, რომ Cisco Prime Infrastructure-იდან შესაძლებელია ქსელის მართვა, მისი დახმარებით ასევე შესაძლებელია მონიტორინგი თუ რა მოწყობილობებია ქსელში ჩართული. მას ასევე შეუძლია ინტეგრირება Cisco ISE სერვერთან, რათა განახორციელოს მომხმარებლების ინდენტიფიცირება.



სურათი N22 Cisco Prime Infrastructure სერვერის გრაფიკული ინტერფეისი

მოთხოვნებზე დაყრდნობით მონიტორინგის სისტემა გათვლილი იქნება 100 მოწყობილობის მომსახურებაზე და გაიმართება VMWare გარემოში.

ქსელის უსაფრთხოების პოლიტიკების მართვის სისტემა

ქსელში გაიმართება ცენტრალიზებული აუთენტიფიკაციისა და უსაფრთხოების პოლიტიკების მართვის სისტემა. აღნიშნულ სისტემასთან მოხდება ქსელის აქტიური კომპონენტებისა და დირექტორიის (Active Directory) სერვერთან ინტეგრაცია.

მოცემული სისტემა განახორციელებს მომხმარებლების აუთენტიფიკაციას, პროფილირებას და უსაფრთხოების პოლიტიკების განსაზღვრას. ერთსა და იმავე მომხმარებელს საშუალება ექნება მიუერთდეს ქსელს მის საკუთრებაში მყოფი ნებისმიერი მოწყობილობით. მის მიმართ უსაფრთხოების პოლიტიკის განსაზღვრა ავტომატურად მოხდება იმის და მიხედვით თუ რა მოწყობილობით არის ის მიერთებული ქსელთან (მაგ: Laptop, Desktop, iPhone, iPad და სხვა).



სურათი N23 Cisco ISE სერვერი

CISCO ISE წარმოადგენს ცენტრალიზებულ სერვერს რომელშიც მოხდება მომხმარებლების მოწყობილობების რეგისტრირება, ეს მოწყობილობები შეიძლება იყოს როგორც პირადი მოხმარების ასევე სამსახურეობრივი მოხმარების. CISCO ISE სერვერს გააჩნია ინტეგრირებული ვებ პორტალი, სადაც მომხმარებლები თვითონ განახორციელებენ თავისი მოწყობილობების რეგისტრაციას. ეს ფუნქცია მნიშვნელოვნად ამარტივებს ამ პროცესს რადგან IT სამსახურს არ მოუწევს ყოველი მოწყობილობის ინდივიდუალურად, თავისი ძალებით რეგისტრირება.

რეგისტრაციის შემდეგ, CISCO ISE მოახდენს მოწყობილობების იდენტიფიცირებას. იდენტიფიცირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მოწყობილობის ტიპის მიხედვით ასევე მასზე მომუშავე პროგრამული უზრუნველყოფის მიხედვით. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით სისტემა არ შემოუშვებს ქსელში ისეთი მოწყობილობებს, რომლებზეც პოტენციურად მავნე (ვირუსები, ტროიანები) ან არასასურველი პროგრამული უზრუნველყოფაა დამალული. ამგვარად თავიდან იქნება აცილებული ქსელში ჩართული ერთი მოწყობილობიდან, ვირუსების გავრცელება სხვა მოწყობილობებზე.

მოწყობილობების იდენტიფიკაციის შემდეგ შესაძლებელი იქნება შესაბამისი უსაფრთხოების პოლიტიკების განსაზღვრა. შესაძლებელია ძალზედ მოქნილი უსაფრთხოების პოლიტიკების განსაზღვრა. მაგალითად განიზასღვროს, რომ პირადი მოხმარების iPhone ტიპის მოწყობილობებმა შეძლონ მხოლოდ ინტერნეტით სარგებლობა.



ამავე დროს iPad ტიპის მოწყობილობებმა რომლებიც სამსახურეობრივ მოხმარებაშია გარდა ინტერნეტის მოხმარებისა ასევე შეძლონ სხვადასხვა შიდა ქსელური აპლიკაციების გამოყენება.

ლოკალურ მოწყობილობებთან ერთად CISCO ISE-ზე მოხდება მოშორებული VPN მომხმარებლების იდენტიფიკაცია.

CISCO ISE-ს იმპლემენტირება შესაძლებელია როგორც ფიზიკური მოწყობილობის სახით ასევე ვირტუალურ გარემოში, VMWare ინფრასტრუქტურის ფარგლებში.

მოთხოვნებზე დაყრდნობით შერჩეულია ISE 3315 სისტემა, რომელიც მოემსახურება 500 სადენიან და უსადენო მოწყობილობას. აღნიშნული სისტემა იქნება დუბლირებული, რათა უზრუნველყოფილი იყოს სისტემის მაღალი საიმედოობა.

VPN მომხმარებლების მომსახურებისთვის, ცალკე ISE სისტემა გაიმართება VMWare გარემოში და გათვლილი იქნება 100 მომხმარებელზე.



კავკასუსი 606060
საქართველოს ეროვნული
215360633

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი

აგრეგაციის ბლოკი	
იდენტიფიკატორი	სამუშაოს მოკლე აღწერილობა
COR-11-1	აგრეგაციის კომპუტატორების ინსტალაცია
COR-11-2	აგრეგაციის კომპუტატორების გაერთიანება VSS წყვილში
COR-11-3	აგრეგაციის კომპუტატორებზე მარშრუტიზაციის კონფიგურირება
COR-11-4	Multicast მარშრუტიზაციის გამართვა
COR-11-5	SSO და NSF ტექნოლოგიების გამართვა
COR-11-6	ქსელის მართვის სისტემის გამართვა
COR-11-7	აგრეგაციის ბლოკის ინტეგრაცია ქსელის მართვის სისტემასთან
COR-11-8	ტესტირება და დოკუმენტირება

დაშვების ქსელი	
იდენტიფიკატორი	სამუშაოს მოკლე აღწერილობა
ACC-11-1	მე-2 დონის კომპუტატორების ინსტალაცია
ACC-11-2	მე-2 დონის კომპუტატორების სტეკში გაერთიანება
ACC-11-3	მე-2 დონის კომპუტატორების კონფიგურირება
ACC-11-4	კომპუტატორების სტეკების დაკავშირება აგრეგაციის ბლოკთან
ACC-11-5	არხების ლოგიკური გაერთიანება
ACC-11-6	მე-2 დონის უსაფრთხოების მექანიზმების კონფიგურირება
ACC-11-7	Power over Ethernet ტექნოლოგიის გამართვა
ACC-11-8	Multicast ნაკადებისთვის ინფრასტრუქტურის მომზადება

ACC-11-9	დაშვების ქსელის ტესტირება და დოკუმენტირება
----------	--

უსადენო დაშვების ქსელი	
იდენტიფიკატორი	სამუშაოს მოკლე აღწერილობა
WIF-11-1	უსადენო დაშვების წერტილების ინსტალაცია
WIF-11-2	უსადენო დაშვების წერტილების კონფიგურირება
WIF-11-3	დაშვების წერტილების კონტროლერის კონფიგურირება
WIF-11-4	დაშვების წერტილების კონტროლერთან ინტეგრაცია
WIF-11-5	უსაფრთხოების მართვის სერვერის ინსტალაცია
WIF-11-6	უსაფრთხოების მართვის სერვერის კონფიგურირება
WIF-11-7	უსადენო დაშვების ქსელის უსაფრთხოების გამართვა
WIF-11-8	ტესტირება და დოკუმენტირება

ინტერნეტთან წვდომის ბლოკი	
იდენტიფიკატორი	სამუშაოს მოკლე აღწერილობა
EDG-11-1	პროვაიდერთან მიერთების კომპუტატორების გამართვა
EDG-11-2	მარშრუტიზატორების ინსტალაცია
EDG-11-3	ბრანდმაუერების ინსტალაცია
EDG-11-4	პროვაიდერების არხების, მარშრუტიზატორების და ბრანდმაუერების კომპუტატორებზე მიერთება
EDG-11-5	მარშრუტიზატორების კონფიგურირება
EDG-11-6	ბრანდმაუერების კონფიგურირება
EDG-11-7	ბრანდმაუერების სარეზერვო წყვილში გაერთიანება

EDG-11-8	VPN შეერთებების კონფიგურირება ბრანდმაუერებზე
EDG-11-9	დემილიტარიზაციის ზონის კომპუტატორების გამართვა
EDG-11-10	ტესტირება და დოკუმენტირება

შიდა სერვერების ბლოკი	
იდენტიფიკატორი	სამუშაოს მოკლე აღწერილობა
SFA-11-1	სერვერული ინფრასტრუქტურის გადმოტანა ახალ შენობაში
SFA-11-2	სერვერული ინფრასტრუქტურის მიერთება აგრეგაციის ბლოკზე
SFA-11-3	ბრანდმაუერების მიერთება აგრეგაციის ბლოკზე
SFA-11-4	ბრანდმაუერებზე უსაფრთხოების პოლიტიკის კონფიგურირება
SFA-11-5	სტატიკური მარშრუტიზაციის კონფიგურირება
SFA-11-6	ბრანდმაუერების გაერთიანება სარეზერვო წყვილად
SFA-11-7	ცალკე მდგომი სერვერებისთვის კომპუტატორის გამართვა
SFA-11-8	ტესტირება და დოკუმენტირება


კავკასუსი ონლაინი
 შპს კავკასუს ონლაინი
 211360833

პროექტის სავარაუდო განფასება:

ცხრილში მოცემულია პარლამენტის შენობის აქტიური კომპიუტერული ქსელის კომპონენტების რაოდენობა და სავარაუდო განფასება გადასახადების გათვალისწინებით:

Item Name	Description	Quantity	Price	Total Price
ME-3400EG-12CS-M	ME3400E 12Combo + 4 SFPs	2	8,546.34	GEL 17,092.68
CON-CSSPD-ME34EG1	SHARED SUPP SDS ME3400E 12Combo	2	236.57	GEL 473.14
S340XAK9T-12255SE	Cisco ME 340X SERIES IOS METRO ACCESS TAR	2	1,155.69	GEL 2,311.38
CAB-ACE	AC Power Cord (Europe) C13 CEE 7 1.5M	4	0.00	GEL 0.00
ME34X-PWR-AC	ME3400E AC power supply	2	0.00	GEL 0.00
ME34X-PWR-AC-R	ME3400E redundant AC power supply	2	924.55	GEL 1,849.11
			SubTotal	GEL 21,726.32
CISCO3945E-SEC/K9	Cisco 3945E Security Bundle w/SEC license PAK	2	22,414.65	GEL 44,829.29
CON-CSSPD-3945ESEC	SHARED SUPP SDS Cisco 3945E Security Bundle w/SEC lic	2	2,359.06	GEL 4,718.11
S39EUK9-15104M	Cisco 3925-3945 SPE IOS UNIVERSAL	2	0.00	GEL 0.00
S39EUK9-15204M	Cisco 3925-3945 SPE IOS UNIVERSAL	2	0.00	GEL 0.00
FL-39E-HSEC-K9	U.S. Export Restriction Compliance license for 3900E series	2	2,311.38	GEL 4,622.77
PWR-3900-AC	Cisco 3925/3945 AC Power Supply	2	0.00	GEL 0.00
PWR-3900-AC/2	Cisco 3925/3945 AC Power Supply (Secondary PS)	2	577.85	GEL 1,155.69
CAB-ACE	AC Power Cord (Europe) C13 CEE 7 1.5M	4	0.00	GEL 0.00
C3900-SPE250/K9	Cisco Services Performance Engine 250 for Cisco 3945E ISR	2	0.00	GEL 0.00
SL-39-IPB-K9	IP Base License for Cisco 3925/3945	2	0.00	GEL 0.00
3900-FANASSY	Cisco 3925/3945 Fan Assembly (Bezel included)	2	0.00	GEL 0.00
ISR-CCP-EXP	Cisco Config Pro Express on Router Flash	2	0.00	GEL 0.00
MEM-3900-1GB-DEF	1GB DRAM (512MB+512MB) for Cisco 3925/3945 ISR (Default)	2	0.00	GEL 0.00
MEM-CF-256MB	256MB Compact Flash for Cisco 1900 2900 3900 ISR	2	0.00	GEL 0.00
SL-39-SEC-K9	Security License for Cisco 3900 Series	2	0.00	GEL 0.00
			SubTotal	GEL 55,325.87
ASA5525-IPS-K9	ASA 5525-X with IPS SW 8GE Data 1GE Mgmt AC 3DES/AES	2	18,485.29	GEL 36,970.59
CON-CSSPD-A25IPS9	SHARED SUPP SDS ASA 5525-X with IPS SW 8GE Data 1GE M	2	1,434.04	GEL 2,868.08
ASA-ANYCONN-CSD-K9	ASA 5500 AnyConnect Client + Cisco Security Desktop Software	2	0.00	GEL 0.00
ASA-VPN-CLNT-K9	Cisco VPN Client Software (Windows Solaris Linux Mac)	2	0.00	GEL 0.00
ASA5500-ENCR-K9	ASA 5500 Strong Encryption License (3DES/AES)	2	0.00	GEL 0.00
ASA-AC-E-5525	AnyConnect Essentials VPN License - ASA 5525-X (750 Users)	2	288.92	GEL 577.85
ASA5525-IPS-SSP	ASA 5525-X IPS SSP License	2	0.00	GEL 0.00
SF-ASA-8.6-K8	ASA 5500 Series Software Ver. 8.6 for ASA 5512X--5555X DES	2	0.00	GEL 0.00
SF-ASAIPS64-7.1-K9	ASA 5500-X IPS Software 7.1 for IPS SSP	2	0.00	GEL 0.00
CON-SUSA-A25IPS8	IPS SIGNATURE ONLY ASA 5525-X with IPS, SW, 8GE Data, 1GE	2	1,456.17	GEL 2,912.34
ASA-AC-M-5525	AnyConnect Mobile - ASA 5525-X (req. Essentials or Premium)	2	288.92	GEL 577.84
CAB-ACE	AC Power Cord (Europe) C13 CEE 7 1.5M	2	0.00	GEL 0.00
			SubTotal	GEL 43,906.69
ASA5525-K9	ASA 5525-X with SW 8GE Data 1GE Mgmt AC 3DES/AES	2	10,395.45	GEL 20,790.90
CON-CSSPD-A25K9	SHARED SUPP SDS ASA 5525-X with SW	2	1,434.04	GEL 2,868.08
SF-ASA-8.6-K8	ASA 5500 Series Software Ver. 8.6 for ASA 5512X--5555X DES	2	0.00	GEL 0.00
CAB-ACE	AC Power Cord (Europe) C13 CEE 7 1.5M	2	0.00	GEL 0.00
ASA-VPN-CLNT-K9	Cisco VPN Client Software (Windows Solaris Linux Mac)	2	0.00	GEL 0.00
ASA5500-ENCR-K9	ASA 5500 Strong Encryption License (3DES/AES)	2	0.00	GEL 0.00
ASA-ANYCONN-CSD-K9	ASA 5500 AnyConnect Client + Cisco Security Desktop Software	2	0.00	GEL 0.00
			SubTotal	GEL 23,658.98
WS-C3560X-24T-L	Catalyst 3560X 24 Port Data LAN Base	2	3,929.35	GEL 7,858.71
CON-CSSPD-3560X2TL	SHARED SUPP SDS Catalyst 3560X 24 Port Data LAN Base	2	271.13	GEL 542.25



CAB-3KX-AC-EU	AC Power Cord for Catalyst 3K-X (Europe)	4	0.00	GEL 0.00
C3KX-PWR-350WAC/2	Catalyst 3K-X 350W AC Secondary Power Supply	2	577.85	GEL 1,155.69
S356XVK9T-12255SE	CAT 3560X IOS UNIVERSAL WITH WEB BASED DEV MGR	2	0.00	GEL 0.00
C3KX-PWR-350WAC	Catalyst 3K-X 350W AC Power Supply	2	0.00	GEL 0.00
	SubTotal			GEL 9,556.65
WS-C4500X-40X-ES	Catalyst 4500-X 40 Port 10G Ent. Services Frt-to-Bk No P/S	2	50,850.45	GEL 101,700.90
CON-CSSPD-C45X40XE	SHARED SUPP SDS Catalyst 4500-X 40 Port 10G Ent. Service	2	4,306.11	GEL 8,612.22
S45XUK9-34-1512SG	CAT4500-X Universal Crypto Image	2	0.00	GEL 0.00
C4500X-IP-ES	IP Base to Ent. Services license for 32 Port Catalyst 4500-X	2	0.00	GEL 0.00
C4KX-NM-8SFP+	Catalyst 4500X 8 Port 10G Network Module	2	0.00	GEL 0.00
C4KX-PWR-750AC-R/2	Catalyst 4500X 750W AC front to back cooling 2nd PWR supply	2	2,311.38	GEL 4,622.77
CAB-CEE77-C15-EU	CEE 7/7 to IEC-C15 8ft Europe	4	0.00	GEL 0.00
C4KX-PWR-750AC-R	Catalyst 4500X 750W AC front to back cooling power supply	2	2,311.38	GEL 4,622.77
	SubTotal			GEL 119,558.65
AIR-CT5508-HA-K9	Cisco 5508 Series Wireless Controller for High Availability	1	23,113.84	GEL 23,113.84
CON-CSSPD-CT5508HA	SHARED SUPP SDS Cisco 5508 Series Wi	1	2,126.47	GEL 2,126.47
SWC5500K9-73	Cisco Unified Wireless Controller SW Release 7.3	1	0.00	GEL 0.00
AIR-PWR-CORD-CE	AIR Line Cord Central Europe	2	0.00	GEL 0.00
LIC-CT5508-BASE	Base Software License	1	0.00	GEL 0.00
AIR-PWR-5500-AC	Cisco 5500 Series Wireless Controller Redundant Power Supply	1	1,727.76	GEL 1,727.76
	SubTotal			GEL 26,968.07
AIR-CT5508-100-K9	Cisco 5508 Series Wireless Controller for up to 100 APs	1	46,221.90	GEL 46,221.90
CON-CSSPD-CT08100	SHARED SUPP SDS Cisco 5508 Series	1	4,252.95	GEL 4,252.95
AIR-PWR-CORD-CE	AIR Line Cord Central Europe	2	0.00	GEL 0.00
LIC-CT5508-100	100 AP Base license	1	0.00	GEL 0.00
LIC-CT5508-BASE	Base Software License	1	0.00	GEL 0.00
AIR-PWR-5500-AC	Cisco 5500 Series Wireless Controller Redundant Power Supply	1	1,727.76	GEL 1,727.76
SWC5500K9-73	Cisco Unified Wireless Controller SW Release 7.3	1	0.00	GEL 0.00
	SubTotal			GEL 52,202.61
SFP-10G-SR=	10GBASE-SR SFP Module	92	1,727.76	GEL 158,953.88
	SubTotal			GEL 158,953.88
GLC-T=	1000BASE-T SFP	20	456.50	GEL 9,129.97
	SubTotal			GEL 9,129.97
ISE-3315-K9	Cisco Identity Services Engine 3315 Hardware Appliance	2	11,545.36	GEL 23,090.73
CON-CSSPD-ISE3315	SHARED SUPP SDS Cisco Identity Services Engine 3315 Hard	2	2,191.60	GEL 4,383.19
ISE-SW-1.1-K9	Cisco Identity Services Engine version 1.1 Software	2	0.00	GEL 0.00
CAB-ACE	AC Power Cord (Europe) C13 CEE 7 1.5M	2	0.00	GEL 0.00
	SubTotal			GEL 27,473.92
L-ISE-BSE-500=	Cisco Identity Services Engine 500 EndPoint Base License	2	2,889.23	GEL 5,778.46
	SubTotal			GEL 5,778.46
L-ISE-ADV3Y-500=	Cisco ISE 500 EndPoint 3Year Advanced Subscription License	2	22,882.70	GEL 45,765.40
	SubTotal			GEL 45,765.40
R-PI12-K9	Cisco Prime Infrastructure 1.2	1	0.00	GEL 0.00
CON-CSSPU-PI12K9B	SHARED SUPP SAU NULL SKU-No line item services included	1	0.00	GEL 0.00
R-PI12-BASE-K9	Prime Infrastructure 1.2 Base License and Software	1	0.00	GEL 0.00
CON-CSSPU-PI12BASE	SHARED SUPP SAU NULL SKU-No line item services included	1	0.00	GEL 0.00
L-PI12-LF-100	Prime Infrastructure 1.2 - Lifecycle - 100 Device Lic	1	10,395.45	GEL 10,395.45
CON-CSSPU-PI12LF1H	SHARED SUPP SAU PI 1.2 - Lifecycle - 100 Device Lic	1	2,079.09	GEL 2,079.09
L-PI12-AS-50	Prime Infrastructure 1.2 - Assurance - 50 Interface Lic	1	13,619.83	GEL 13,619.83
CON-CSSPU-PI12AS50	SHARED SUPP SAU PI 1.2 - Assurance-50 Int Lic-Unlim NAM	1	2,723.97	GEL 2,723.97
L-PI12-LF-100-LIC	Prime Infrastructure 1.2 - Lifecycle - 100 Device Lic PAK	1	0.00	GEL 0.00
